(სსმ III, 30.09.2010 წ., N 125, მუხ. 1825)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
270.090.000.22.022.016.009

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N 94/ნ
2010 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანებაში დამატების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე–4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

1. „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 21 ოქტომბრის №576 ბრძანებით (სსმ III, 24.10.2005, №122, მუხ.1371) დამტკიცებულ საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციაში შეტანილ იქნეს დამატება და ინსტრუქციას დაემატოს შემდეგი შინაარსის 5^1 პუნქტი:

„მუხლი 5^1. სერტიფიცირებული პედაგოგის დანამატი

პედაგოგი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდას, მიეცემა პედაგოგთა ხელფასზე დანამატი ყოველთვიურად 75 ლარის ოდენობით.“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი